პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 155 (3132)

11 აგვისტო, ხუთშაბათი. 1966 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი

# მოსკოვის ცაზე

## მსოფლიო ჩემპიონატი უმაღლეს პილოტაჟში

9 აგვისტოს ტუშინოს აეროდრომზე ერთბაშად ოქროს ოთხი თასი გაჩნდა. ისინი ახლახან ჩამოიტანეს საბჭოთა პარაშუტისტებმა ლაიპციგის მსოფლიო ჩემპიონატიდან. ჯილდოები მზის სხივებზე საოცრად ბრჭყვიალებდნენ და, ალბათ, თავისებურ, ჯანსაღ შურს იწვევდნენ. საბჭოთა მფრინავებში. მათ ყველაფერი წინა აქვთ. თუმცა ცისფერ ოლიმპზე ასვლა ყოველდღიურად ძნელდება.

საწყისი საფეხური — პირველი სავალდებულო კომპლექსი, ჩვენმა ასებმა დამაჯერებლად განვლეს და პირველი ოთხი ადგილი დაიკავეს როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის.

ლიდერები გახდნენ ვ. მარტემიანოვი (4844,6 ქულა) და ლ. ვასილიევა (4142,1 ქულა). ამასთან, ამ უკანასკნელმა აბსოლუტური მეოთხე შედეგი აჩვენა და ჩამოიტოვა მსოფლიო ჩემპიონი ვაჟთა შორის, ესპანელი თ. კასტანიო. სსრ კავშირის ვაჟთა გუნდმა (12886,9 ქულა) თითქმის 600 ქულით გაუსწრო II ადგილზე მყოფ გდრ-ის სპორტსმენებს.

დღეს საუკეთესო საჰაერო ასებს ახალი გამოცდა ელოდათ — სავალდებულო კომპლექსი, რომელიც 18 ფიგურისაგან შედგება. მფრინავები მას „ბნელს" უწოდებენ (კომპლექსის შინაარსი ცნობილი ხდება სტარტამდე 24 საათით ადრე). ახალ დავალებას ჰაერში ეცნობიან სპორტული თემიდის მსახურთა გამსჭვალავი მეთვალყურეობის ქვეშ.

მეორე დღესაც ისახელეს თავი იმავე ვ. მარტემიანოვმა, რომელმაც მონაწილეთა პირველ ნახევარს შორის ყველაზე მაღალი შეფასება — 4112,6 ქულა დაიმსახურა და ლ. ვასილიევამ, რომელიც უძლიერესი იყო ქალთა შორის — 3550,1 ქულა.

თუ საბჭოთა მფრინავებს საკუთარი კედლები ეხმარებათ, ფრანგ მფრინავებს მხარს უჭერს 50 ტურისტი, რომლებიც საგანგებოდ ამ ჩემპიონატისათვის ჩამოვიდნენ ჩვენს ქვეყანაში. ისინი არიან ადამიანები, რომელთაც ცხოვრება ცას დაუკავშირეს. ფრანგები განსაკუთრებული პატივით ეპყრობიან არც თუ მაღალ, ხნიერ მანდილოსანს. ეს ანდრიენ ბოლანია, რომელიც თითქოს ცოცხალი ისტორიაა ავიაციისა. თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ მან პირველმა ქალთაგან გაიმეორა „ნესტეროვის მარყუჟი". 1920 წელს ბოლანი პირველი გადაფრინდა არგენტინიდან ჩილიში ანდების გავლით, ხოლო ცოტა ხნის მერე სამოქალაქო თვითმფრინავების ტარებაც დაიწყო. „მე ძალიან მიხარია, რომ ახალგაზრდობა ცისკენ მიისწრაფის, ხოლო მოსკოვის გაცნობა შესანიშნავ ჩემპიონატს დაემთხვა. სასიამოვნოა ისიც, რომ ქალები არ ფიქრობენ ჩამორჩნენ მამაკაცებს. ამის მაგალითია თქვენი ვასილიევა",— თქვა ქალბატონმა ბოლანმა.

## საათი

◆ კინგსტონი, 10 აგვისტო. ბრიტანულ თამაშებზე კვლავ თავი გამოიჩინეს მოცურავეებმა. 15 წლის კანადელმა მოსწავლე გოგონამ ე. ტანერმა ბატერფლაის სტილით 220 იარდი გაცურა 2.29,9-ში. ეს შედეგი ახალი მსოფლიო რეკორდია. კიდევ ერთი მსოფლიო რეკორდის ავტორი გახდა 18 წლის ავსტრალიელი პ. რეინოლდსი. მან გააუმჯობესა თავისივე მსოფლიო მიღწევა 220 იარდზე ზურგზე ცურვაში, აჩვენა რა 2.12,0. ამ ორ სპორტსმენს არც ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონი რ. უინდლი (ავსტრალია) ჩამორჩა. მან გააუმჯობესა ერთ-ერთი უძველესი მსოფლიო რეკორდი თავისუფალი სტილით 440 იარდზე ცურვაში. უინდლის შედეგია 4.15,0.

◆ პორტილო, 10 აგვისტო. მსოფლიო ჩემპიონატზე სამთო-სათხილამურო სპორტში გამოვლინდა კიდევ ერთი ოქროს მედლის მფლობელი. ეს არის ფრანგი ჟან-კლოდ კილი, რომელმაც გამარჯვება მოიპოვა გიგანტურ სლალომში.

◆ ბრიუსელი, 10 აგვისტო. მსოფლიო რეკორდსმენმა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა 3000 მ დაბრკოლებებით რბენაში ბელგიელმა გ. რულანტსმა გამარჯვება მოიპოვა არა მარტო თავის საყვარელ სახეობაში (8.35,2), არამედ 10 კილომეტრზე რბენაშიც — 29.26,8. ეს მოხდა ბელგიის მძლეოსანთა ჩემპიონატზე.

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 9 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე გარდაიცვალა დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სახალხო პოეტი, სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

გიორგი ნიკოლოზის ძე ლეონიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

| საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი | საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო |
|---|---|---|

## ახალი ამბები

● მოსკოვი, 9 აგვისტო. სსრ კავშირის მორიგ პირველობაზე სასტენდო სროლაში თითქმის ყველა ოქროს მედალს უკვე გაუჩნდა პატრონი. სასანგრო სტენდზე ყველაზე ზუსტად, ყოველ სერიაში თანაბრად ისროდა ცნობილი მოსკოველი სპორტსმენი პ. სენიჩევი. საბოლოოდ მას 294 ქულა ჰქონდა და უძლიერესის სახელიც მოიპოვა. მრგვალ სტენდზე სროლაში ჩემპიონი გახდა სვერდლოვსკელი რ. პოლიანსკი (195 ქულა 200 შესაძლებლიდან), ვერცხლის მედლისთვის ბრძოლა ირკუტსკელ ე. გოლუბევსა და მოსკოველ მ. პოკოტილოს შორის გაიმართა. ორივემ 193 სამიზნე დაამსხვრია. დამატებითი ცდის შემდეგ მეორე ადგილი მიეკუთვნა პოკოტილოს. ქალთა შორის სასანგრო სტენდზე სროლაში ყველას აჯობა მოსკოველმა ვ. გერასინამ (93 ქულა), ხოლო მრგვალ სტენდზე სროლაში უძლიერესი იყო გერასინას თანაქალაქელი კ. სმირნოვა — 89.

● მოსკოვი, 9 აგვისტო. მოსკოვის მახლობლად მდებარე აეროდრომზე დღეს გაიხსნა დედაქალაქის XVIII პირველობა საპარაშუტო სპორტში. ასპარეზობდა 74 სპორტსმენი. პროგრამაში შედიოდა 2 ვარჯიში. მოსკოვის ჩემპიონები პარაშუტის დაყოვნებით გახსნაში და თავისუფალ ვარდნაში ფიგურების შესრულებით გახდნენ ა. ბიკმურზინი და ლუდმილა მიხალევიჩი. ათმა სპორტსმენმა პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა შეჯიბრების პროგრამის ამ ურთულეს ვარჯიშში. იმავე დღეს სპორტსმენები ერთმანეთს შეეჯიბრნენ 1000 მეტრიდან ხტომასა და დაშვების სიზუსტეში. მოსკოვის ჩემპიონი გახდა ვ. ფადეევი, რომელმაც გაიმეორა ამ ვარჯიშში მსოფლიოს 1966 წლის ჩემპიონის, გდრ-ის სპორტსმენის გ. გერჰარდის ბრწყინვალე მიღწევა. იგი სამჯერ დაეშვა ზუსტად სამიზნის ცენტრში და ქულების მაქსიმუმი დააგროვა. ამ ვარჯიშში ორმოცმა სპორტსმენმა შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა.

● ერებრუ, 9 აგვისტო. საბჭოთა მოჭადრაკეები დამაჯერებლად ლიდერობენ სტუდენტთა მსოფლიოს გუნდურ პირველობაზე. 7 ტურის შემდეგ მათ 21 ქულა აქვთ. VI ტურში საბჭოთა სპორტსმენებმა მოუგეს დანიელებს — 3,5:0,5, ხოლო VII — ბულგარელებს — 3:1. ჩვენი გუნდის უახლოეს მეტოქეებს — ჩეხოსლოვაკიელ სტუდენტებს 17,5 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვთ, იუგოსლავიელებს — 16 (2), რუმინელებს — 15,5 (1), დანიელებს — 14,5 (3).

● იაროსლავლი, 9 აგვისტო. საერთაშორისო ოსტატმა ა. გიპსლისმა (რიგა) გაიმარჯვა სსრ კავშირის პროფკავშირთა ტრადიციულ საჭადრაკო ჩემპიონატში. მან 11 ქულა დააგროვა (16 შესაძლებლიდან) და ოქროს მედალი მოიხვეჭა. „ვერცხლი" ერგო გ. ბორისენკოს (ტაშკენტი), ხოლო „ბრინჯაო" — ა. ვაისმანს (ხარკოვი).

ახალი ამბები

# ქართველ კალათბურთელთა ზეიმი

# სტუმრები

თურქეთის კალათბურთელებმა დაამთავრეს გამოსვლები თბილისში. გუშინწინ მათი მეტოქე საქართველოს ნაკრები იყო. როგორც უკვე ვიუწყებოდით, ქართველმა კალათბურთელებმა ამ შეხვედრაშიც წარმატებას მიაღწიეს. გთავაზობთ ჩვენი კორესპონდენტის ი. იუნაევის 3 ფოტოს, რომლებზეც საქართველოსა და თურქეთის ნაკრები გუნდების შეხვედრის ფრაგმენტებია აღბეჭდილი.

მარცხენა ფოტო ასახავს ჩვენი გუნდის შეტევის დამამთავრებელ ფაზას. ა. კაზანჯიანმა წარმატებით განვლო თურქების დაცვითი ხაზები და კალათის პირისპირ აღმოჩნდა. დანარჩენი, როგორც იტყვიან, ტექნიკის საქმე იყო. კაზანჯიანი ასეთ სიტუაციებში შეუდარებელია... მან თავის გუნდს მორიგი 2 ქულა შესძინა.

თურქები იერიშს ღრმა ზურგიდან იწყებენ (შუა ფოტო). ამ მიზნისთვის სტუმრების ერთ-ერთმა თავდამსხმელმა დრიბლინგს მიმართა. ვ. ალთაბაევი ცდილობს ხელი შეუშალოს მეტოქის წინსვლას. მესამე, მარჯვენა ფოტოზე, აღბეჭდილია ერთ-ერთი კრიტიკული მომენტის შედეგი. თურქეთის გუნდის წევრი თავდასხმის წინა ხაზზე დაეცა. მეტოქეს დახმარების ხელს (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით) უწვდის ა. ღლურჯიძე.







ეროვნული ბიბლიოთეკა

# ა. მეტრეველის გამარჯვება

ასეთი სათაურით მოათავსა წერილი პოლ როსმა აშშ-ის ყველაზე პოპულარულ ჟურნალ „სპორტს ილუსტრეიტედში". იგი მოგვითხრობს აშშ-ის პირველ ჩოგბურთელ დენის რალსტონზე ალექსანდრე მეტრეველის გამარჯვების შესახებ. ეს მოხდა წლეულს, საფრანგეთის ღია ჩემპიონატზე, რომელსაც მაგარნიადაგიან კორტებზე მსოფლიოს ფაქტიურ პირველობასაც უწოდებენ. პარიზში შეკრებილი იყვნენ მსოფლიოს გამოჩენილი ჩოგბურთელები და სწორედ ამან გამოიწვია გულშემატკივართა დიდი ინტერესი. მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონატი 4 ივნისს დამთავრდა, როსის სტატია შესაბამისი ილუსტრაციებით უკვე 13 ივნისს დაიბეჭდა აღნიშნულ ჟურნალში. სტატიის ავტორს მიაჩნია, რომ „დიდი ჩოგბურთის ასპარეზზე გამოჩნდნენ ახალი ძალები, რომელთა შორის არ შეიძლება არ დავასახელოთ ა. მეტრეველი".

ქვემოთ მცირე შემოკლებით მოგვყავს როსის სტატია: „პარიზში, ბულონის ტყეში, მაგარნიადაგიან წითელ კორტებზე საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტმა — ალექსანდრე მეტრეველმა დაამარცხა აშშ-ის პირველი ჩოგბურთელი დ. რალსტონი. მეტრეველს აქვს რბილი, სამხრეთული გამოთქმა... იგი თბილისის მკვიდრია (ავტორი აზუსტებს — „ტიფლისის")... მესამე წელია სწავლობს საქართველოს უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე...

როცა მეტრეველი, ეს 21 წლის ჭაბუკი ცენტრალურ კორტზე გამოვიდა გამარჯვების რწმენით აღსავსე რალსტონის წინააღმდეგ, მათი ორთაბრძოლა მოგვაგონებდა ბრძოლას დავითსა და გოლიათს შორის. დავითი იყო სსრ კავშირის მეორე ჩოგბურთელი, იმ ქვეყნის წარმომადგენელი, სადაც ჩოგბურთს თამაშობს მხოლოდ 60 ათასი კაცი, გოლიათი კი აშშ-ის ჩოგბურთელთა 8,5-მილიონიანი არმიის საუკეთესო სპორტსმენი. და ამიტომ გასაგებია კიდეც, რად გულშემატკივრობდნენ მაყურებლები მეტრეველს. ზედმეტი იყო ლაპარაკი გოლიათისადმი თანაგრძნობის შესახებ. გარდა ამისა, მეტრეველს შესანიშნავად უჭირავს თავი კორტებზე და მისი გარეგნობაც სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს. ქართველი ჩოგბურთელის სიმაღლე 178 სანტიმეტრია, იწონის 75 კილოგრამს, აქვს შავი, მოკლედ შეჭრილი თმა, მუქი თვალები და სახის კარგი ფერი. იგი ცუდად როდი საუბრობს ინგლისურად. პარიზის კორტებზე მეტრეველი მშვიდად და აუღელვებლად მოქმედებდა, თუმცა ამბობენ, რომ პირველ წლებში, საერთაშორისო ტურნირებში გამოსვლისას ახალგაზრდა საბჭოთა ჩოგბურთელი ამ თვისებებით ვერ დაიტრაბახებდა".

მეტრეველი 11 წლისა იყო, როცა პირველად შედგა ფეხი თბილისის „დინამოს" კორტებზე. 6 წლის შემდეგ იგი უკვე უიმბლდონის ჭაბუკთა შეჯიბრების ფინალისტია. ფრანგებმა შენიშნეს, რომ — „პარიზში იგი ჩამოვიდა, როგორც სახელმოხვეჭილი უცნობი". მაგრამ მას შემდეგ, რაც პირველ სამ წრეში გაიმარჯვა, ტურნირზე დამსწრე ელეგანტური ახალგაზრდები ყოველნაირად ცდილობდნენ ახლოს გასცნობოდნენ მას. მეტრეველის პირველ „მსხვერპლთა" შორის იყვნენ ინგლისის ნაკრების წევრი დ.-რ. ტეილორი და ავსტრალიელი მ. მალიგანი. როცა მეტრეველმა მალიგანი დაამარცხა (3:6, 6:1, 6:3, 6:3), სამხრეთ აფრიკის ერთ-ერთმა საუკეთესო ჩოგბურთელმა ე. სოგალმა შენიშნა: „ესაა ფანტასტიკური გამარჯვება: ჩემთვის რომ 5 წლის წინათ ეთქვათ, რუსები ასე გაიზრდებიანო, ვერაფრით ვერ დავიჯერებდი".

ეს არც რალსტონს სჯეროდა. მან „იწინასწარმეტყველა" კიდეც: საქართველოს მკვიდრთან მატჩი იქნება უბრალო ოპერაცია, რომელიც მხოლოდ 3 პარტიად გათამაშდებაო. „თითქმის" ასე მოხდა, — „მრისხანე" დენისმა მხოლოდ 1 პარტიის მოგება შეძლო. საბჭოთა ჩოგბურთელმა რალსტონი, ხატოვნად რომ ვთქვათ, „გაწკეპლა" — 8:6, 2:6, 6:1, 6:3. საბოლოო ქულის მოგების შემდეგ, რომელმაც მას გამარჯვება მოუტანა, მანამდე მშვიდად მოთამაშე მეტრეველმა თავის სიხარულს გასაქანი მისცა და კმაყოფილმა შეჰყვირა რაღაც. ამასობაში 5.000 მაყურებელი წამოიჭრა და ქართველ სპორტსმენს შეძახილებით ულოცავდა გამარჯვებას.

ლონდონის გაზეთ „ტაიმსის" კორესპონდენტი აღფრთოვანებით შენიშნავს: „დღეს მეტრეველმა გაცილებით მეტი მეგობარი შეიძინა, ვიდრე შეეძლო ეოცნება. კარგად აღზრდილმა, თავდაჭერილმა სპორტსმენმა დანარჩენი ჩოგბურთელების წინაშე მოახდინა ორიგინალური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თამაშის დემონსტრაცია. რად ღირს თუნდაც მისი რაღაც უცნაურად ჩახვეული და ვერაგი დარტყმები. ემერსონს გარდა, ტურნირში მარჯვენა ხელით მოთამაშეთაგან ეს არავის ძალუძს. რალსტონ — მეტრეველის მატჩი ბრწყინვალე იყო. ორივენი — დასავლეთი და აღმოსავლეთი — თამაშობდნენ სუფთად. საბჭოთა ჩოგბურთელმა შეასრულა ყველაზე მაღალი კლასის ჩემპიონისთვის შესაფერი ორი შესანიშნავი დარტყმა. ეს იყო არაჩვეულებრივად დახვეწილი დრონ-შოტი ბეკხენტიდან, რომელმაც იგი დამამთავრებელ ქულას მიუახლოვა, შემდეგ კი მოედნის განივად შესრულებული ელვისებური დრაივი ბეკხენტიდან. ამ უკანასკნელმა დარტყმამ მას საბოლოო გამარჯვება მოუტანა. ამ მატჩში გამოვლინდა მოთამაშის არა მარტო ტალანტი, არამედ მისი ხასიათიც. საბჭოთა ჩოგბურთელები უთუოდ სწორ გზაზე დგანან".

საბჭოთა ჩოგბურთი სწორ გზაზეა? 10 წლის წინ კი ჩოგბურთი სსრ კავშირში ისევე პოპულარული და გავრცელე-

* სტატია დაწერილია გაზეთ „ლელოსთვის".

# დიდი ამოცანების წინაშე





ამ რამდენიმე დღის წინ ვორონეჟში დამთავრდა სსრ კავშირის ჭაბუკ ტანმოვარჯიშეთა პირველობა. იგი განვლილი სასწავლო წლის დასკვნითი ასპარეზობა იყო. ახალი სასწავლო წელი კი, რომელიც გადამწყვეტი ეტაპია სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის სამზადისისა, კარს მოგვადგა. სწორედ ამიტომ, დღეს განსაკუთრებით გვმართებს დაფიქრება, საქართველოს ჭაბუკ ტანმოვარჯიშეთა მიღწევებისა თუ ნაკლის გულდასმით აწონ-დაწონა და გაანალიზება. დავიწყოთ იმით, რომ 1965-66 სასწავლო წელს წინ უძღოდა არც თუ დიდად საპატიო მე-6 ადგილი, რომელიც ჩვენმა სპორტსმენებმა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე დაიკავეს მინსკში.

საყოველთაოდ ცნობილი ამბავია, რომ სპორტში მარცხი გამორიცხული არ არის. მაგრამ იყო კი მინსკში ჩვენი ტანმოვარჯიშეების წარუმატებლობა მხოლოდ შემთხვევითი მარცხი? სამწუხაროდ, ამ შეჯიბრების მონაწილეთა და მსაჯთა შემაჯამებელ კრებაზე არა ერთი და ორი აუგი სიტყვა ითქვა ჩვენი გუნდის მისამართით. იმასაც ამბობდნენ, საქართველოს ნაკრები „ათადანბაბადან" შემორჩენილი მეთოდებით მუშაობსო. სხვათა შორის, აქვე უნდა დავსძინოთ, ქართული ტანვარჯიშის პირველ ოსტატებს ბევრი რამ ჰქონდათ მისაბაძი, ის, რაც დღესაც აუცილებელია ტანვარჯიშისთვის. ამიტომ, უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ ჩვენმა ჭაბუკმა ტანმოვარჯიშეებმა ახალს ჯერჯერობით ბევრს ვერაფერს მიაღწიეს, ძველი ტრადიციები კი დაკარგეს.

საფიქრებელი იყო, რომ მინსკის „უიღბლო ასპარეზობა" ერთგვარად გამაფრთხილებელი იქნებოდა იმ პირებისა და ორგანიზაციებისთვის, რომელთაც ბავშვებთან მუშაობა აკისრიათ, რომ ისინი მკაცრი კრიტიკული თვალით შეხედავდნენ და გადასინჯავდნენ სასწავლო-საწვრთნელ პროცესს, დასახავდნენ და განახორციელებდნენ რადიკალურ ღონისძიებებს შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

მაგრამ ასე როდი მოხდა. იწუხეს, ივაგლახეს, სხვა რესპუბლიკების სპორტსმენთა მიმართ ალტაცების სიტყვები არ დაიშურეს და საქმეც ამით დაამთავრეს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს მუშაობა მთელი რესპუბლიკის ტანმოვარჯიშე ბავშვებთან, მეთოდურ და საორგანიზაციო საშუალებათა მთელი კომპლექსი. ამას საგანგებოდ გვინდა გავუსვათ ხაზი, ვინაიდან ნაკრების წევრებთან მნიშვნელოვანი და სერიოზული მუშაობა ჩატარდა, ყოველ ცოტად თუ ბევრად საიმედო ტანმოვარჯიშეს თვალ-ყურს ადევნებდნენ, ყურადღებას არ აკლებდნენ. საკონტროლო ვარჯიშებით, დათვალიერებებითა და სასწავლო წლის მანძილზე ჩატარებული შეჯიბრებების გულდასმითი ანალიზით მოხერხდა სპორტსმენთა მომზადებაში არსებული ხარვეზების გამოვლენა და აღმოფხვრა. ეს ხარვეზები კი უმნიშვნელო როდი გახლდათ. მარტში პროფკავშირების პირველობაზე ბავშვთა სპორტულ სკოლებს შორის „ბურევესტნიკის" საქართველოს საბჭოს სპორტსმენებს ასეთი შედეგები ჰქონდათ:

საშუალო ასაკის ტანმოვარჯიშე გოგონებმა დაიკავეს XI, უფროსი ასაკის გოგონებმა კი VII ადგილი. საშუალო ასაკის ჭაბუკებმა — IX, უფროსი ასაკის ჭაბუკებმა კი XIV ადგილი.

უკეთ გამოვიდნენ ამ ასპარეზობაში „განთიადის" გოგონები, რომელთაც შესაბამისად III და VI ადგილები მოიპოვეს, მაგრამ, სამაგიეროდ, ჭაბუკები XII და XIII ადგილებს დასჯერდნენ. თუ ყოველივე ამას დავუმატებთ, რომ პირადი პირველობის ფინალში ჩვენები არ ჩანდნენ, კომენტარი, რაღა თქმა უნდა, ზედმეტია.

დავსძენთ მხოლოდ, რომ საქართველოს გუნდის სამატჩო შეხვედრა ლენინგრადის ნაკრებთან (მაისში) ჩვენების დამარცხებით დამთავრდა. რესპუბლიკურმა და საქალაქო სპარტაკიადებმა კი ცხადყო, რომ ჭაბუკ ტანმოვარჯიშეთა მომზადების საერთო დონე მეტისმეტად დაბალია, თუმცა არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ნაკრების წევრთა სპორტ-ტექნიკური შედეგები საგრძნობლად გაუმჯობესდა.

როცა მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის შესახებ ვლაპარაკობთ, ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვათ შეჯიბრების დებულების შესახებაც, რომლის თანახმადაც მეორეთანრიგოსნები არ დაიშვებოდნენ საასპარეზოდ.

უკვე კარგა ხანია ყველა დარწმუნდა, რომ თანრიგებში შეზღუდვას დიდი სიკეთე არ მოაქვს. ამიტომ მეორეთანრიგოსნებს უკვე აქვთ საკავშირო ასპარეზობებში მონაწილეობის უფლება, განსხვავება სათანრიგო კოეფიციენტებს შორის მინიმუმამდეა დაყვანილი, ამიტომ სხვა ქალაქებსა და რესპუბლიკებში უდიდესი ყურადღება ეთმობა დაბალი თანრიგის მქონე ბავშვებთან მუშაობას და სწორედ ამიტომ, ვიდრე ასპარეზობის დებულებას შევადგენთ, აუცილებლად საჭიროა თავის დროზე მოველაპარაკოთ შესაბამის ფედერაციებს.

უნდა ითქვას, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკების ჭაბუკ ტანმოვარჯიშეთა ასპარეზობის ჩატარებამ დიდად შეუწყო ხელი საკავშირო შეჯიბრებებისთვის ძირითადი ნაკრების სწორად შერჩევას. ახლა მთავარი გუნდის კარგი ფიზიკური და მორალური მომზადება იყო, რასაც მწვრთნელებმა წარმატებით გაართვეს თავი. შედეგმაც არ დააყოვნა: — საქართველოს გუნდმა IV საერთო-გუნდური ადგილი მოიპოვა. განსაკუთრებით ისახელეს თავი საშუალო ასაკის გოგონებმა, რომელთაც მოსკოვის, უკრაინისა და ლენინგრადის წარმომადგენლები ჩამოიტოვეს და II ადგილი დაიკავეს. განსაკუთრებით გვახარებს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთა პირადი მიღწევები.

ქართველმა ტანმოვარჯიშეებმა 2 პირველი, 2 — მეორე და 3 — მესამე საპრიზო ადგილები დაიკავეს. თავი გამოიჩინეს რ. ბერიკაშვილმა, მ. ჩაჩხიანმა, გ. კალაძემ, ე. სამხარაძემ, მ. დავითაშვილმა და ა. ზაქრაძემ. მათ პირადი პირველობის ფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვეს და ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ნორჩ ტანმოვარჯიშეთა ხუთეულში მოხვდნენ. ამ წარმატებაში მცირე წვლილი როდი მიუძღვით ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე მწვრთნელებს — ე. ქოვლიევას, თ. ქოიავას, გ. მამარდაშვილს, ნ. მახვილაძეს, გ. ჩხარტიშვილს, ი. თავდიდიშვილს, ვ. კუპრაშვილს, ვ. ხაბეიშვილს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს „განთიადის" მწვრთნელთა ჯგუფი, რომელიც ბრიგადული მეთოდით მუშაობს ს. ბურჯანაძისა და რ. კლიმოვას ხელმძღვანელობით.

ინტერესმოკლებული არ იქნება აქვე აღვნიშნოთ, რომ: ჩვენი რესპუბლიკის ტანმოვარჯიშე გოგონათა ორ გუნდში 14 წევრია გაერთიანებული. მათგან 7 განათლების სამინისტროს ორგანიზაციებიდან (5 — თბილისიდან, 2 — ქუთაისიდან), 5—„განთიადიდან" (ყველანი —თბილისიდან), 2 — „დინამოდან" (თბილისი). 14 ტანმოვარჯიშეა ჭაბუკთა ორ ნაკრებშიც, 8 განათლების სამინისტროს ორგანიზაციებიდანაა (7 — თბილისიდან, 1 — ზუგდიდიდან), 4— „დინამოდან" (2 — თბილისიდან, 1 — ქუთაისიდან, 1 — თელავიდან), 1 — „სპარტაკიდან" (ქუთაისი), 1 — „შრომითი რეზერვებიდან" (ზუგდიდი).

ჩვენის აზრით, სოხუმის, ბათუმისა და თბილისის ზოგიერთი სპორტული ორგანიზაცია კარგად უნდა ჩაუფიქრდეს ამ მონაცემებს და სერიოზული მსჯელობის საგნად აქციოს იგი.

ამ წერილში ჩვენ საგანგებოდ არაფერი ვთქვით უფროსი ასაკის ტანმოვარჯიშეებისა და მოზრდილთა ნაკრების წევრებთან მუშაობის თაობაზე, ვინაიდან ეს ცალკე საუბრის საგანია.

ცხადია, წარმატება სპორტის ყოველ სახეობაში და, მით უმეტეს, ტანვარჯიშში დიდად არის დამოკიდებული ბავშვებთან რიგიან მუშაობაზე. დგება ახალი სასწავლო წელი. ყველამ, ვისაც კი ეს საკითხი ეხება, დროულად უნდა მიხედოს საქმეს, საფუძვლიანად გარდაქმნას მუშაობა, აქედანვე დაიწყოს ზრუნვა სასწავლო-საწვრთნელი პროცესის ხარისხის ამაღლებისთვის, შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადოს იმ ხალხს, ვინც ერთხელ მოპოვებული წარმატების გამო თვითდამშვიდებას მიეცა და თავისი ცოდნის გაფართოება საჭიროდ აღარ მიაჩნია.

ჩვენი რესპუბლიკა სამართლიანად ითვლება ერთ-ერთ მოწინავედ სპორტში, რასაც მუშაობის ახალი ფორმების გამუდმებული ძიება განაპირობებს. მით უფრო საოცარია ინერტულობა თბილისის განათლების განყოფილების ტანმოვარჯიშე ბავშვებთან მუშაობაში. გასაკვირია, რომ სათანადო ყურადღება არ ექცევა ტანმოვარჯიშეთა მომზადების თანამედროვე მოთხოვნების შესაფერი სისტემის შექმნას. უნდა აღინიშნოს, რომ ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებები მაინცდამაინც დიდად არ ზრუნავენ ნორჩ ტანმოვარჯიშეთა აღზრდისთვის.

ჩვენს წინაშე დიდი, საპასუხისმგებლო ამოცანები დგას. თუ ამ ამოცანებს დროულად და რიგიანად გავართმევთ თავს, მხოლოდ მაშინ შეიძლება ვიქონიოთ IV საიუბილეო სპარტაკიადაზე წარმატების იმედი.

ვ. ჯაიანი,
რესპუბლიკის მთავარი მწვრთნელი ტანვარჯიშში.

• • •

სურათებზე: მარცხნივ — რ. ბერიკაშვილი და მ. ჩაჩხიანი ვარჯიშისას.

# ორი ჩემპიონი

ბაქოში დამთავრდა „დინამოს" ცენტრალური საბჭოს ახალგაზრდა მოკრივეთა პირველობა. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის უძლიერესი სპორტსმენები.

მძიმე კენჭისყრა შეხვდა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელს მჩატე წონაში მ. არუთინოვს. პირველსავე შეხვედრაში მისი მეტოქე აღმოჩნდა შარშანდელი ჩემპიონი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი ვ. სოკოლოვი. არუთინოვმა მძიმე დარტყმა მიიღო პირველ რაუნდში და შემდგომში ვერაფრით გამოაკეთა მდგომარეობა. გამარჯვება მიესაჯა სოკოლოვს. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტმა ზ. გუნიამ (პირველი ქვესაშუალო წონა) ნახევარფინალში წააგო „დინამოს" ახალგაზრდა მოკრივეთა ტურნირის ორგზის ჩემპიონთან ა. აბდრახმანოვთან და III ადგილი დაიკავა.

შეჯიბრებაში კარგად გამოვიდა II საშუალო წონის მოკრივე ნ. კირთაძე, რომელმაც მოიგო 3 შეხვედრა. ფინალში იგი დამარცხდა ს. მირზოიანთან შეხვედრაში. კირთაძემ II ადგილი დაიკავა. წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები II ქვესაშუალო და ქვემძიმე წონებში. ს. ჩიქოვანმა და ს. გოცელმა ყველა შეხვედრა მოიგეს და ჩემპიონის წოდება მოიპოვეს.

ა. ბაქრაძე,
სპორტის ოსტატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაფრთხილებად ქლერს

ბული იყო, როგორც ველორბოლა აშშ-ში. მაგრამ როცა რუსები რაიმეს ხელს მოჰკიდებენ, ეს იქნება სპორტი თუ კოსმოსური სივრცის ათვისება, ისინი მას აკეთებენ მეთოდურად და მეცნიერების მიღწევებზე დაფუძნებით. ყველა შეჯიბრებაზე — ფორესტ ჰილსში, უიმბლდონსა თუ პარიზის როლან გაროს სტადიონზე, საბჭოთა კინემატოგრაფისტებს და ფოტორეპორტიორებს ფირზე გადააქვთ ავსტრალიელთა და ამერიკელთა თამაშის ყოველი დეტალი. უკანასკნელი წლების მანძილზე საბჭოთა ახალგაზრდობამ საფუძვლიანად შეისწავლა დასავლეთის ქვეყნების ჩოგბურთელთა თამაშის სტილი. 1958 წელს სსრ კავშირმა ფრთხილად, უიმბლდონის ჭაბუკთა ტურნირში მონაწილეობით დაიწყო გამოსვლები, მომდევნო წლებში კი მათი ჩოგბურთელები გამოჩნდნენ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირებშიც. ამის შემდეგ ისინი ყოველწლიურად სულ უფრო ფართო მასშტაბით გამოდიან დიდსა თუ მცირე საერთაშორისო ასპარეზობებში, იძენენ გამოცდილებას, ხვეწენ ოსტატობას, მართალია, მცირე რაოდენობით იღებენ საპრიზო ადგილებს, მაგრამ მეტრეველის გამარჯვება რალსტონზე დღეისთვის რუსეთის საჩოგბურთო ტრიუმფია.

ჟურნალისტები იგონებენ, რომ კარგა ხანს ვერც ერთმა საბჭოთა ჩოგბურთელმა ვერ შეძლო მიეღწია დიდი საერთაშორისო ტურნირების მეოთხედფინალამდე. მეტრეველი იყო პირველი, ვინც ეს გააკეთა პარიზში. საბჭოთა ჩოგბურთელებისთვის სამწუხაროდ, მას მეოთხედფინალში ბედმა ძალიან ძლიერი მეტოქე არგუნა — ავსტრალიელი ტონი როჩი.

აი, რას ამბობს როჩი: „მეტრეველს პირველად მოვუგე იტალიაში — 6:2, 6:2, 6:2, მეორედაც იქ დავამარცხე, მაგრამ, ამჯერად მოგება უფრო გამიჭირდა — 6:0, 6:1, 7:5. მეტრეველი იზრდება. ახლა, როლან გაროს კორტზე, პირველი პარტია მან მომიგო — 7:5, დანარჩენები კი მე — 6:3, 6:1, 7:5“. როჩს შეეძლო დაემატებინა, რომ მეოთხე პარტიაში, როცა ანგარიში იყო 3:0 მის სასარგებლოდ, მეტრეველი დაეწია (4:5), გეიმიც მიჰყავდა (40:30), გამარჯვებასთანაც ახლოს იყო, მაგრამ საბოლოოდ მაინც როჩი დაწინაურდა. ასე რომ არა, ვინ იცის, როგორ დამთავრდებოდა საქმე. ერთი სიტყვით, მეტრეველმა ავსტრალიელს ბევრი უსიამოვნო წუთი განაცდევინა.

მეოთხედფინალში საპატიო წაგების შემდეგ მეტრეველმა წყვილთა შეჯიბრებაში განაგრძო ბრძოლა. იგი გამოდიოდა სსრ კავშირის მესამე ჩოგბურთელთან — ს. ლიხაჩოვთან ერთად. ლოგიკურად რომ ვიმსჯელოთ, საბჭოთა წყვილი არ უნდა მისულიყო მეოთხედფინალამდე, რადგან მათ წინააღმდეგ გამოდიოდნენ შარშანდელი ჩემპიონები წყვილებში — ემერსონი და სტოლე. უფრო მეტიც, მათზე გამარჯვება ისეთივე გასაოცარი ამბავი იყო, როგორც მეტრეველის მიერ რალსტონის დამარცხება 4 პარტიაში. ოთხიდან სამი პარტიის მოგებით, საბჭოთა წყვილმა გზა გაიკაფა. ნახევარფინალში გასვლა მათთვის უკვე აღარ წარმოადგენდა დიდ გასაჭირს. საბჭოთა ჩოგბურთელებმა სამ პარტიაში ძლიეს ბრიტანელებს — სანგსტერსა და უილსონს. ერთობ დიდი გაკვირვება გამოიწვია მეტრეველისა და ლიხაჩოვის წაგებამ რუმინელებთან — ცირიაკთან და ნასტასესთან ფინალში (5 პარტიაში).

მოვუსმინოთ აშშ-ის ჩოგბურთელთა ნაკრების კაპიტანს ჯორჯ მაკ კოლას: „მე უკვე 3 წელია ვაკვირდები რუსებს და ერთი დასკვნა გამოვიტანე: საბჭოთა ჩოგბურთელების წინსვლის შეჩერება შეუძლებელია“.

ჟურნალ „სპორტს ილუსტრეიტედს“ სსრ კავშირისადმი სიმპათიები მაინცდამაინც არასოდეს გამოუმჟღავნებია. მის ფურცლებზე არაერთხელ დაბეჭდილა ჩვენი ქვეყნის მიმართ მტრული სტრიქონები. არც პოლ როსის ზემომოყვანილი სტატია გამოდგება ობიექტური, კეთილგანწყობილების გამომხატველი მსჯელობის ნიმუშად. უბრალოდ, ამერიკელებს აფიქრებთ მათი ჩოგბურთის მომავალი. სწორედ ამიტომ იბეჭდება ახლა იქაური პრესის ფურცლებზე გამაფრთხილებელი ტონით გაჟღენთილი სტატიები. სწორედ ამიტომ უხდებათ მათ ჩვენი ქვეყნის სპორტსმენთა მიღწევების აღიარება. ჩვენს სპორტსმენებზე, კერძოდ, მეტრეველზე ამ სტატიაში მათი მისამართით ნათქვამმა დიფირამბებმა ცუდი გავლენა არ უნდა იქონიოს. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ საფრანგეთში მეტრეველის რალსტონზე გამარჯვებიდან სამი კვირის თავზე იმავე რალსტონმა 4 პარტიაში რევანში აიღო საბჭოთა ჩოგბურთელთან. იმისთვის, რომ ჩვენი სპორტსმენების შედეგები სტაბილური გახდეს, საჭიროა დაძაბული და დაუცხრომელი მუშაობა.

ის-ის იყო, ამ სტატიის ბოლო სტრიქონებს ვწერდი, რომ რადიომ გადმოსცა ცნობა მეტრეველის ახალი გამარჯვების შესახებ სკანდინავიის ღია ჩემპიონატში. ამჯერად, მეტრეველის მსხვერპლი ფინალურ ასპარეზობაში გახდა უიმბლდონის ტურნირის წლევანდელი ჩემპიონი, მსოფლიოს პირველი ჩოგბურთელი, ესპანელი მ. სანტანა. მეტრეველმა ეს ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა 3-საათიან ბრძოლაში — 3:6, 3:6, 6:1, 7:5, 6:4. უდავოდ შესანიშნავი გამარჯვებაა, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი მაინც არ ცვლის საბჭოთა ჩოგბურთის განვითარების პრინციპულ გზებს, რომელსაც საფუძვლად უდევს ყოველდღიური, გულმოდგინე მუშაობა ოსტატობის დახვეწისთვის და სპორტსმენის პირადი თავმდაბლობა.

**ა. პრავდინი,**
სსრ კავშირის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ა. მეტრეველი.
ფოტო ი. იუნაევისა.



# მამაცთა სპორტი

**ჩვენს ქვეყანაში სახანძრო-გამოყენებითმა სპორტმა ოფიციალური აღიარება ჰპოვა. სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა იგი შეიტანა საკავშირო ერთიან სპორტულ კლასიფიკაციაში. ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტი მ. გუსევი შეხვდა სახანძრო-გამოყენებითი სპორტის საკავშირო ფედერაციის თავმჯდომარეს მ. ზემსკის და სთხოვა პასუხი გაეცა რამდენიმე შეკითხვაზე:**

**● — თუ შეიძლება გვითხარით, რა მნიშვნელობა ენიჭება სახანძრო-გამოყენებით სპორტს ამჟამად?**

*— იგი უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობის სახეობაა. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ხანძარი ჯერ კიდევ ხშირად ჩნდება. მასთან მებრძოლი ადამიანი უდიდეს სიძნელეებს უნდა შეეჭიდოს. საუკეთესო ფიზიკური მომზადების გარეშე შეუძლებელია ცეცხლის სტიქიაზე გამარჯვება და აი, აქ მეხანძრეებს ეხმარება სახანძრო-გამოყენებითი სპორტი. კარგი სპორტსმენი სწრაფად და მოხერხებულად გადალახავს ყოველგვარ რთულ წინაღობას, არ უშინდება მაღალ ტემპერატურას და აკვამლებულ შენობებში ცეცხლთან ბრძოლას.*

*სახანძრო-გამოყენებითი სპორტით მარტო ცეცხლის ფრონტის პროფესიული მებრძოლები როდი არიან გატაცებული, მას მისდევენ მუშები, ინჟინრები, კოლმეურნეები, სტუდენტები, სახანძრო ნებაყოფლობითი რაზმეულების წევრები. „დინამოს“, „ავანგარდის“, „ლოკომოტივის“ სპორტსაზოგადოებებში, არმიის კლუბებთან შექმნილია სექციები. სადაც მამაცი ადამიანები ვარჯიშობენ, ეუფლებიან ცეცხლთან ბრძოლის საქმეს. მხოლოდ ძალიან გაბედულ კაცს შეუძლია კიბის საშუალებით რამდენიმე წამში შეაღწიოს მეოთხე სართულის სასწავლო კოშკის ფანჯარაში. მეხანძრე სპორტსმენი უნდა ფლობდეს ძალოსნის ღონეს, ტანმოვარჯიშის მოქნილობას, მოკრივის რეაქციას, სპრინტერის სისწრაფეს.*

**● — მიუხედავად იმისა, რომ სახანძრო - გამოყენებითი სპორტი სულ ახლახან შეიტანეს საკავშირო ერთიან სპორტულ კლასიფიკაციაში, მას, ალბათ აქვს თავისი ისტორია.**

*— ჯერ კიდევ 1938 წელს მოსკოვში გაიმართა შეჯიბრება სახანძრო დაცვაში ჩემპიონის სახელისთვის. მასში მონაწილეობდა 12 გუნდი. ჩვენი ქვეყნის პირველი ჩემპიონი იყო სახელგანთქმული მოსკოველი მეხანძრე ა. ტატიანინი. სამამულო ომის დროს პარტიზანი ტატიანინი მძიმედ დაიჭრა, ორივე ტერფი დაკარგა, მაგრამ ვაჟკაცობა ეყო, რომ დაბრუნებოდა დედაქალაქის სახანძრო დაცვას. მან ბევრ ადამიანს შეუნარჩუნა სიცოცხლე.*

*1945 წელს იყო ცდა შეექმნათ პირველი წესები სახანძრო-გამოყენებით სპორტში. თანდათან ეს წესები უფრო სრულყოფილი გახდა.*

**● — შარშან გათამაშდა სსრ კავშირის პირველი ოფიციალური ჩემპიონატი სახანძრო-გამოყენებით სპორტში. წარმატება ხვდა თუ არა დებიუტს?**

*—რასაკვირველია. ჩემპიონატის მონაწილეთა მიერ ნაჩვენები შედეგები მოწმობენ სპორტსმენთა მაღალ ოსტატობას. საკვირველი იყო წარმატება ივანოველ ვ. ერშოვისა, რომელმაც საიერიშო კიბით ვარჯიში 15,9 წამში დაამთავრა. ჩინებულად იყვნენ მომზადებულნი რსფსრ-ს, ლენინგრადის, საქართველოსა და უკრაინის ნაკრები კოლექტივები. ოქროს მედლების დიდი ნაწილი სწორედ ამ გუნდების სპორტსმენებმა მოიპოვეს. მაგრამ ტექნიკური შედეგების გარდა ჩვენ სხვა ამბავმაც გაგვახარა: ლენინგრადის „დინამოს“ სტადიონზე, სადაც შეჯიბრება ტარდებოდა, ტრიბუნები ყოველდღე სავსე იყო მაყურებლებით ისე, როგორც საფეხბურთო მატჩის დროს. როგორც ჩანს, ჩვენი სპორტი მოსწონთ გულშემატკივრებს.*

**● — რას ჰპირდება მეხანძრე-სპორტსმენებს მიმდინარე სეზონი?**

*— მართალია, წლეულს სსრ კავშირის პირველობა სახანძრო-გამოყენებით სპორტში არ ტარდება (ეს ასპარეზობა ეწყობა ორ წელიწადში ერთხელ), მაგრამ შეჯიბრება მაინც ბევრი ექნებათ სპორტის ამ სახეობის მიმდევრებს. ჩატარდება რესპუბლიკური ჩემპიონატები, მოეწყობა დინამოელთა, რკინიგზელთა და არმიელთა ასპარეზობები. ჩვენ გვახარებს, რომ სახანძრო სპორტით დაინტერესდა სასოფლო სპორტული საზოგადოება „უროჟაი“.*

**● — როგორი პერსპექტივები აქვს სახანძრო-გამოყენებით სპორტს საერთაშორისო სარბიელზე?**

*— სახანძრო-გამოყენებითი სპორტი ბევრ ქვეყანაში ვითარდება სხვადასხვა ფორმით, მაგრამ ერთიანი საერთაშორისო წესი არ არსებობს და შეჯიბრებების ჩატარება ეროვნულ ნაკრებთა დონეზე ძნელია. სექტემბერში იუგოსლავიის ქალაქ კარლოვაცში გაიმართება საერთაშორისო ასპარეზობა. საჩვენებელი ვარჯიშებით გამოვლენ საბჭოთა სპორტსმენებიც. იუგოსლავიის სტარტისთვის ემზადებიან რსფსრ-ის და უკრაინის გუნდები. მათ წარმატებაზეა დამოკიდებული სახანძრო-გამოყენებითი სპორტის მომავალი. საქმე ისაა, რომ ამ სახეობის საერთაშორისო კომიტეტმა ისურვა ენახა ჩვენი მეხანძრეები მოქმედების დროს. თუ წარმატება იქნა მოპოვებული, საბჭოთა სახანძრო-გამოყენებითი სპორტის ვარჯიშების კომპლექსი საფუძვლად დაედება საერთაშორისო პროგრამას.*

## ო. ხარაძემ შეასრულა ოსტატის ნორმა

ტალინში ახლახან დამთავრდა სსრ კავშირის პირველობა კარტინგებით რბოლაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდები.

შეჯიბრების დებულების თანახმად თვითეულ სპორტსმენს 12-ჯერ უნდა შემოევლო 800-მეტრიანი წრე. სპორტის ამ სახეობაში დიდხანს ლიდერობდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები, დოსაафის თბილისის ავტოკლუბის სპორტსმენები: ო. ხარაძე, რ. ზუკაკიშვილი, თ. ცხაკაია და რ. აკოფოვი. მაგრამ თ. ცხაკაიას ბედმა უმტყუნა. უკანასკნელი წრის შემოვლისას მის მანქანას დაეჯახა ესტონელი სპორტსმენის მანქანა. მოულოდნელმა შეფერხებამ ჩვენი გუნდი II ადგილზე გაიყვანა. პირველი ადგილი ლატვიის ნაკრებმა დაიკავა. ავტომობილისტთა მოსკოვის კოლექტივი III ადგილზე დარჩა.

პირად-პირველობაში ო. ხარაძემ, რ. ზუკაკიშვილმა და რ. აკოფოვმა II ადგილები და ვერცხლის მედლები დაისაკუთრეს. ო. ხარაძემ შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი.

## აჭარელთა წარმატება თბილისის ზღვაზე

თბილისის ზღვაზე 2 დღეს გრძელდებოდა საქართველოს პირად-გუნდური პირველობა საწყლოსნო-სამოტორო სპორტში. სამწუხაროდ ეს სახეობა ჩვენს რესპუბლიკაში არ არის განვითარებული, ამიტომ ტურნირში მხოლოდ აჭარის, აფხაზეთისა და თბილისის გუნდები გამოვიდნენ.

175 კბ სმ კლასის სკუტერებში პირველი ადგილი ბათუმელმა კ. ზავადსკიმ მოიპოვა. მან დისტანცია დაფარა 7.33,2, რაც საშუალოდ საათში 63 კმ და 576 მ შეადგენს. 250 კბ სმ კლასის სკუტერებში უძლიერესი იყო ბ. მამფორია — 7.45,3. 250 კბ სმ კლასის მოტორიან ნავებში ჩემპიონის წოდება მოიპოვა ვ. კალფამ. ამავე სიძლიერის ნავებით ასპარეზობა ჭაბუკთა შორის მოიგო სოხუმელმა რ. მიროშნიჩენკომ. ი. ნესტოროვი და ვ. დონდუა პირველები იყვნენ კატერებით ასპარეზობაში. მაქსიმალური სისწრაფე შეჯიბრებაში განავითარა ა. მინასიანმა. მისმა გლისერმა საათში საშუალოდ 75 კმ და 302 მ აჩვენა.

გუნდურ ჩათვლაში I ადგილი მოიპოვეს აჭარის სპორტსმენებმა.

**ნ. კოტრიკაძე.**

## ახალი რესპუბლიკური რეკორდი

*თბილისში, დოსაафის დიღმის სასროლეთზე 7 დღეს მიმდინარეობდა პირად-გუნდური შეჯიბრება ტყვიის სროლაში.*

*გუნდურ ჩათვლაში I საპრიზო ადგილი დაისაკუთრეს თბილისის ქალთა და ვაჟთა ნაკრებმა გუნდებმა. II ადგილზე გამოვიდნენ აჭარის, III — ქუთაისის გუნდები.*

*პირად ჩათვლაში წარმატებას მიაღწია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიული ფაკულტეტის სტუდენტმა თ. ლეკიშვილმა, რომელმაც II ვარჯიშში (პვ-2) გაქცეულ ირემზე სროლაში 221 ქულა დააგროვა და დაამყარა ახალი რესპუბლიკური რეკორდი.*

*საქართველოს დოსაафის ჩემპიონის წოდება მოიპოვეს აგრეთვე ე. კერნოჟიცკაიამ და შ. აბულაძემ (თბილისი) ვ. კრასნოპოლსკიმ (აჭარა), ი. ციციშვილმა (ქუთაისი) და სხვ.*

**გ. არჩვაძე.**

## საქართველოს ჭაბუკები — II ადგილზე

ამას წინათ ლენინგრადში დამთავრდა ჭაბუკთა საკავშირო პირად-გუნდური პირველობა სამბოში, რომელშიც მონაწილეობდნენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის სპორტსმენები. შეჯიბრება ჩატარდა ასეთი სისტემით: თავდაპირველად სპორტსმენები ასპარეზობდნენ ქვეჯგუფებში. აქ გამარჯვებული 2-2 მოჭიდავე გადიოდა მეოთხედფინალში, შემდეგ უკვე ტურნირი ოლიმპიური სისტემით გრძელდებოდა. მეოთხედფინალში ერთი ან ორი დამარცხება გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებაზე „ხელის აღებას“ ნიშნავდა.

ასპარეზობის დაწყებით სტადიაში ლიდერობა ხელთ იგდეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა და გასული წლის ჩემპიონატში გამარჯვებულმა რსფსრ-ს გუნდმა. საბოლოო ჯამში საქართველოს სამბისტები გამოვიდნენ II ადგილზე. ჩემპიონის სახელი კი დაისაკუთრა მოსკოვის კოლექტივმა. რსფსრ-ს გუნდი III ადგილზე დარჩა.

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთაგან საპრიზო ადგილები დაიკავეს გ. გაგუნაშვილმა, ლ. თედიაშვილმა (II ადგილი), თ. ქუცნიაშვილმა, ვ. ხოსიტაშვილმა, გ. გიორგაძემ და ს. ბადალიანმა (III ადგილი). კარგი შთაბეჭდილება დატოვეს მძიმე წონის მოჭიდავეებმა მარტყოფლიშვილმა და ზაზუნიშვილმა.

გულისტკივილით უნდა აღვნიშნოთ, რომ შეჯიბრების მსვლელობაში ადგილი ჰქონდა არაზუსტ მსაჯობას. სამწუხაროდ, ამის მსხვერპლი ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც გახდნენ (ლ. ხოსიტაშვილი, ე. ნინიაშვილი, ს. ბადალიანი).

**ქ. ნინიაშვილი,**
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

ფეხბურთი

## „ა" კლასი I ჯგუფი

მოსკოვი, 10 აგვისტო. აქ გაიმართა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა" კლასის I ჯგუფის გუნდებს მორის. ერთმანეთს შეხვდნენ „ტორპედო" (მოსკოვი) — „ჩერნომორეცი" (ოდესა).

მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

## სოხუმის „დინამო" ამარცხებს ზონის ლიდერს

სოხუმის „დინამოს" ფეხბურთელებს მეტად საპასუხისმგებლო მატჩი ჰქონდათ „ბ" კლასის რსფსრ-ს IV ზონის ერთპიროვნულ ლიდერთან — ორჯონიკიძის „სპარტაკთან" თავიანთ მინდორზე.

სოხუმელებმა ეს მატჩი საუკეთესოდ ჩაატარეს და დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 2:1.

გორის „დილას" თავისი მორიგი შეხვედრა ჰქონდა ქ. კაფანში ადგილობრივ „ლერნაგორცთან".

გორელმა ფეხბურთელებმა, რომლებსაც აკლიათ ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე მოთამაშე, განიცადეს დამარცხება ანგარიშით 0:2.

გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში.

● „ისანი" (თბილისი) — „დინამო" I (თბილისი) 1:2. მსაჯი ა. აბულაშვილი (თბილისი).

დაიწყო თამაში და უკვე რამდენიმე წუთის შემდეგ ბურთი „დინამოს" კარში აღმოჩნდა მანუჩაროვის დარტყმის შემდეგ — 1:0. შეიქმნა შთაბეჭდილება, თითქოს ახალგაზრდა დინამოელები მორიგ დამარცხებას ჩაიწერდნენ გათამაშების ცხრილში, მაგრამ მათ ეყოთ ძალები საიმისოდ, რომ შეეტანათ გარდატეხა თამაშში და ტაიმის დასასრულს ძიძიგურმა გაათანაბრა ანგარიში — 1:1. დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა მეორე ტაიმი. დინამოელებმა (მიქაძე) კიდევ ერთი ბურთი გაიტანეს „ისნის" კარში და თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს თამაში — 2:1.

● „ქართლი" (გორის რაიონი) — „მესხეთი" (ახალციხე) 1:0. მსაჯი ვ. ლარინი (რუსთავი).

სტუმრები შეტევაზე იყვნენ თითქმის მთელი ტაიმის განმავლობაში, თუმცა ამას მათთვის არავითარი სარგებელი არ მოუტანია — 0:0. „ქართლის" თავდამსხმელმა ვაშაკიძემ მეორე ტაიმში ზუსტი დარტყმით გაგზავნა ბურთი მოწინააღმდეგის კარში და ამ გოლმა გამარჯვება მოუტანა მასპინძლებს.

● „მადნეული" (ჭიათურა) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 0:0. მსაჯი ა. სიანოზოვი (თბილისი).

ორივე გუნდს საკმაოდ ჰქონდა ხელსაყრელი მომენტები, მაგრამ თავდამსხმელები ჩქარობდნენ და ვერ იყენებდნენ ბურთის გატანის შესაძლებლობას — 0:0.

● „ოდიში" (ზუგდიდი) — „განთიადი" (ბორჯომი) 2:2. მსაჯი ო. ჯანგველაძე (თბილისი).

მატჩის შედეგს საგანგებო მნიშვნელობა ჰქონდა ბორჯომელ ფეხბურთელთათვის, რომლებმაც უნდა განიმტკიცონ მდგომარეობა ფინალური შეჯიბრებისთვის. ამიტომ მათ შეტევით დაიწყეს თამაში და უკვე მე-6 წუთზე ჩადუნელმა გახსნა ანგარიში — 1:0. „განთიადის" ჯეგმები თითქოს ახლოს იყო განხორციელებასთან, მაგრამ მასპინძლებმა ჯერ გაქვითეს გოლი, ხოლო შემდეგ წინ გავიდნენ კიდეც — 2:1. მხოლოდ ძალთა დიდი დაძაბვის შემდეგ დააღწიეს ბორჯომელებმა თავი დამარცხებას — 2:2.

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „შუქურა" (ქობულეთი) 2:2. მსაჯი ა. ვარდიაშვილი (თბილისი).

გათამაშების ცხრილში ორივე გუნდს თითქმის თანაბარი მდგომარეობა აქვს, ამიტომ გამარჯვება ერთ-ერთ მათგანს დიდ უპირატესობას აძლევდა. შეიძლება ამიტომ, ორივე გუნდის მოთამაშეები საგრძნობლად ნერვიულობდნენ დასაწყისში. სწორედ ამ მიზეზით იქნა დაშვებული შეცდომა თბილისელთა დაცვაში, რაც კარგად გამოიყენა დოპორჯგინიძემ — 1:0. სტუდენტებმა (ინჯგია) ტაიმის დასასრულისათვის აღადგინეს წონასწორობა — 1:1. მეორე ტაიმში გამეორდა იგივე ისტორია: თბილისელთა კარი კვლავ იქნა აღებული (ურუშაძე) და იმავე ინჯგიამ თავის გუნდს მოუტანა 1 ქულა — 2:2.

● „მეშახტე" (ტყვარჩელი) — „კოლხეთი" (ცხაკაია) 0:0. მსაჯი მ. ნადიროვი (რუსთავი).

ტყვარჩელის ფეხბურთელებმა უკვე დაკარგეს შესაძლებლობა, მოხვდნენ ფინალურ ჯგუფში. ამიტომ მატჩის შედეგს მათთვის არ ჰქონდა ისეთი მნიშვნელობა, როგორიც კოლხეთელებისთვის, რომლებიც ჯერ კიდევ იბრძვიან მაღალი შედეგებისთვის. მიუხედავად ამისა, ბრძოლას ჰქონდა თანაბარი, უკიდურესად დაძაბული ხასიათი. გამარჯვება არც ერთ მხარეს არ დარჩა — 0:0.

● „ბახმარო" (ჩოხატაური) — „მერცხალი" (მახარაძე) 1:2. მსაჯი ლ. ვერულიძე (ბათუმი).

მასპინძლებმა მატჩი წააგეს ფაქტიურად ჯერ კიდევ პირველ ტაიმში — 0:2. მართალია, მათ შემდგომში გამოასწორეს თამაში და ერთი ბურთიც გაიტანეს, მაგრამ გამარჯვება მაინც „მერცხალს" დარჩა — 2:1.

● ასკ (თბილისი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 1:1. მსაჯი ა. კვერნაძე (თბილისი).

თბილისის „სინათლე" არ გამოცხადდა სათამაშოდ წულუკიძეში ადგილობრივ „ფეიქართან", რისთვისაც მას ჩაეთვალა დამარცხება. ამავე მიზეზით ქუთაისის დინამოელებს წაგება მიესაჯათ ბათუმის „ნარინჯთან".

## „ბ" კლასი IV ზონა

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 11 აგვისტოსათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) | 22 | 14 | 4 | 4 | 42—20 | 32 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 22 | 11 | 7 | 4 | 34—23 | 29 |
| „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) | 22 | 12 | 4 | 6 | 24—17 | 28 |
| „მაშინოსტროიტ." (პიატიგორ.) | 22 | 10 | 7 | 5 | 36—22 | 27 |
| „კოლხიდა" (ფოთი) | 22 | 10 | 7 | 5 | 24—13 | 27 |
| „ლერნაგორცი" (კაფანი) | 22 | 11 | 5 | 6 | 29—20 | 27 |
| „სპარტაკი" (კისლოვოდსკი) | 22 | 9 | 7 | 6 | 21—19 | 25 |
| „მეშახტე" (ტყიბული) | 22 | 9 | 5 | 8 | 42—25 | 23 |
| „დინამო" (სოხუმი) | 22 | 9 | 5 | 8 | 31—26 | 23 |
| „ალაზანი" (გურჯაანი) | 22 | 10 | 3 | 9 | 25—21 | 23 |
| „ლორი" (კიროვაკანი) | 22 | 7 | 8 | 7 | 17—19 | 22 |
| „უროჟაი" (მაიკოპი) | 22 | 8 | 5 | 9 | 36—27 | 21 |
| „ენგური" (ზუგდიდი) | 22 | 8 | 5 | 9 | 29—27 | 21 |
| „უროჟაი" (კრიმსკი) | 22 | 9 | 2 | 11 | 28—31 | 20 |
| „დილა" (გორი) | 22 | 7 | 6 | 9 | 20—26 | 20 |
| „დინამო" (მახაჩყალა) | 22 | 5 | 9 | 8 | 24—28 | 19 |
| „სევანი" (ოქტემბერიანი) | 22 | 4 | 6 | 12 | 22—36 | 14 |
| „ურალანი" (ელისტა) | 22 | 3 | 8 | 11 | 18—45 | 14 |
| „არაქსი" (ერევანი) | 22 | 4 | 5 | 13 | 15—35 | 13 |
| „უროჟაი" (დერბენტი) | 22 | 4 | 4 | 14 | 23—60 | 12 |

## გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 10 აგვისტოსათვის

### I ჯგუფის I ქვეჯგუფი

I ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სინათლე" (თბილისი) | 21 | 14 | 4 | 3 | 40—13 | 32 |
| „მეტალურგი" (ზესტაფონი) | 21 | 14 | 4 | 3 | 40—16 | 32 |
| „განთიადი" (ბორჯომი) | 21 | 11 | 5 | 5 | 23—20 | 27 |
| „მესხეთი" (ახალციხე) | 20 | 8 | 10 | 2 | 28—14 | 26 |
| „ფეიქარი" (წულუკიძე) | 19 | 9 | 4 | 6 | 29—21 | 22 |
| „ქართლი" (გორის რ-ნი) | 21 | 8 | 6 | 7 | 25—23 | 22 |
| „ისანი" (თბილისი) | 20 | 6 | 6 | 8 | 21—21 | 18 |
| „მადნეული" (ჭიათურა) | 21 | 5 | 8 | 8 | 17—19 | 18 |
| „ირისტონი" (ცხინვალი) | 18 | 7 | 4 | 7 | 15—21 | 18 |
| „ოდიში" (ზუგდიდი) | 21 | 5 | 5 | 11 | 20—46 | 15 |
| „ტორპედო" (გაგრა) | 21 | 3 | 3 | 15 | 24—40 | 9 |
| „დინამო" I (თბილისი) | 20 | 2 | 1 | 17 | 19—47 | 5 |

II ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მერცხალი" (მახარაძე) | 21 | 10 | 8 | 3 | 40—23 | 28 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 20 | 9 | 9 | 2 | 27—11 | 27 |
| „კოლხეთი" (ცხაკაია) | 21 | 11 | 5 | 5 | 33—24 | 27 |
| „შუქურა" (ქობულეთი) | 21 | 9 | 8 | 4 | 30—22 | 26 |
| ფიზკ. ინსტ. (თბილისი) | 20 | 9 | 7 | 4 | 31—21 | 25 |
| „კოლმეურნე" (წალენჯიხა) | 20 | 10 | 5 | 5 | 24—17 | 25 |
| ასკ (თბილისი) | 21 | 6 | 10 | 5 | 24—17 | 22 |
| „ლოკომოტივი" (სამტრედია) | 21 | 6 | 9 | 6 | 27—27 | 21 |
| „ნარინჯი" (ბათუმი) | 21 | 5 | 11 | 5 | 17—18 | 21 |
| „მეშახტე" (ტყვარჩელი) | 20 | 5 | 4 | 11 | 21—26 | 14 |
| „ბახმარო" (ჩოხატაური) | 21 | 2 | 7 | 12 | 22—42 | 11 |
| „დინამო" (ქუთაისი) | 21 | 0 | 1 | 20 | 12—60 | 1 |

### I ჯგუფის II ქვეჯგუფი

I ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დურუჯი" (ყვარელი) | 15 | 10 | 2 | 3 | 39—12 | 22 |
| „გარეჯი" (საგარეჯო) | 14 | 9 | 2 | 3 | 24—14 | 20 |
| „ალაზანმშენი" (თელავი) | 14 | 9 | 2 | 3 | 27—20 | 20 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 15 | 7 | 4 | 4 | 28—20 | 18 |
| „არაგვი" (მცხეთა) | 14 | 5 | 4 | 5 | 25—27 | 14 |
| „კოლმეურნე" (მარნეული) | 15 | 4 | 5 | 6 | 16—25 | 13 |
| „ბახტრიონი" (ახმეტა) | 13 | 3 | 6 | 4 | 12—15 | 12 |
| „ერეთი" (ლაგოდეხი) | 14 | 4 | 3 | 7 | 15—14 | 11 |
| „თრიალეთი" (წალკა) | 11 | 3 | 4 | 4 | 7—10 | 10 |
| „შირაქი" (წითელწყარო) | 12 | 2 | 6 | 4 | 13—17 | 10 |
| „სამცხე" (აწყური) | 10 | 2 | 5 | 3 | 10—16 | 9 |
| „არაგვი" (დუშეთი) | 15 | 0 | 3 | 12 | 14—40 | 3 |

II ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლაითური" (მახარაძე) | 15 | 10 | 4 | 1 | 19—7 | 24 |
| „აერო" (გალი) | 15 | 8 | 6 | 1 | 30—13 | 22 |
| „კოლხიდა" (ხობი) | 16 | 8 | 4 | 4 | 28—14 | 20 |
| „სამგურალი" (წყალტუბო) | 15 | 8 | 3 | 4 | 28—17 | 19 |
| „სალხინო" (გეგეჭკორი) | 16 | 8 | 3 | 5 | 19—21 | 19 |
| „ზემო ქართლი" (ხაშური) | 16 | 6 | 4 | 6 | 33—23 | 16 |
| „სულორი" (ვანი) | 16 | 5 | 6 | 5 | 22—20 | 16 |
| „ცისარტყელა" (თბილისი) | 16 | 8 | 0 | 8 | 23—22 | 16 |
| „ჩიხურა" (საჩხერე) | 16 | 6 | 4 | 6 | 24—23 | 16 |
| „საირმე" (მაიაკოვსკი) | 15 | 5 | 4 | 6 | 28—25 | 14 |
| „მექანიზატორი" (ფოთი) | 16 | 3 | 3 | 10 | 21—40 | 9 |
| „მშენებელი" (ჭიათურა) | 16 | 4 | 1 | 11 | 19—46 | 9 |
| „ცისკარა" (ბათუმი) | 16 | 1 | 2 | 13 | 5—28 | 4 |

ფეხბურთი



## პელე ეუსებიოს შესახებ

როგორც ცნობილია, ბრაზილიელთა „შავმა მარგალიტმა" — პელემ ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატში ტრავმის გამო მთელი ძალით ვერ ითამაშა. პრესაში არაერთხელ იყო აღნიშნული იმის შესახებ, რომ პელემ საერთოდ უარი განაცხადა ჩემპიონატებში გამოსვლაზე. და მაინც, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი ყურადღებით ადევნებდა თვალს მსოფლიო პირველობის მატჩებს (ნაწილს ტელევიზიით).

ბრაზილიაში ჩასვლისთანავე პელემ განაცხადა, რომ იგი განაცვიფრა მოზამბიკელი ზანგის ეუსებიოს თამაშმა. „მიუხედავად იმისა, რომ პორტუგალიელთა ლიდერს ადრეც ვიცნობდი, არ მეგონა, თუ იგი ასეთი დიდი მასშტაბისა და კლასის ფეხბურთელი იყო. ეუსებიო ფეხბურთის ისტორიაში ფენომენალური მოვლენაა. დღეს მსოფლიოში არც ერთი ფეხბურთელი არ უტევს მეტოქის კარს ისე გამძაფრებით და საშიშად, როგორც ეუსებიო. დარტყმების სიზუსტითა და სიძლიერით კი მას ალბათ ვერასდროს ვერავინ გადააჭარბებს". პელეს აზრით, ეუსებიოს კლასის ფეხბურთელი საუკუნეში ერთხელ თუ დაიბადება.

• • •

სურათზე: პელე (მარცხნივ) და ეუსებიო.

## სხვათა შორის

შეიძლება თამამად ითქვას, რომ მსოფლიოს ყველაზე მრავალმხრივი სპორტსმენი ბუენოს-აირესში ცხოვრობს. ამ ქალაქში ჩატარდა მრავალჭიდი, რომელიც შემდეგ შეჯიბრებებს ითვალისწინებდა: 100 და 1500 მეტრზე რბენა, ცხენოსნობა, ჩოგბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ბადმინტონი, ჭადრაკი, სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომა, ბადროს ტყორცნა, ბირთვის კვრა, 110 მ თარჯრბენი, ცურვა, ძიუდო და ტანვარჯიში. ამ ორიგინალურ ასპარეზობაში ყველას აჯობა ალეხანდრო გონზალესმა, რომელმაც საბოლოო ჯამში 8433.256 ქულა დააგროვა. მრავალჭიდელთა შეჯიბრებამ მთელ კვირას გასტანა, გამარჯვებულმა კი განაცხადა: გული მწყდება, რომ ასპარეზობა ასე მალე დამთავრდა, დასანანია, რომ პროგრამაში არ არის შეტანილი მარათონი.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორის მოადგილე — 9-56-47, პასუხისმგებელი მდივანი — 3-95-30, სპორტული და ფეხბურთის განყოფილებები — 3-95-41, მასობრივ - ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 3-95-14, ფოტოლაბორატორია — 3-95-16, მემანქანეთა ბიურო — 3-95-11, გამომშვები — 3-93-81.